აკადემიური მოსწრება და ემოციური ინტელექტი უმაღლეს და საშუალოსასწავლებლებში.

სოფიო ბასლანძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ კორინთელი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ემოციური ინტელექტისა და აკადემიური მოსწრების ურთიერთმიმართების კვლევა თბილისის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში. კვლევა ჩატარდა პეტრიდესის ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული თვისების კითხვარით (TEIQue - Trait Emotional Intelligence Questionnaire). TEIQue არის თვითანგარიშის პრინციპზე აგებული ინსტრუმენტი, რომელიც გამოყოფს ემოციური ინტელექტის 4 ძირითად ფაქტორს და 15 ცალკეულ სფეროს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 132 17-19 წლის მოზარდმა: თბილისის N1 და N51 სკოლის მოსწავლეებმა და ილიას უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა. აკადემიური მოსწრება სკოლების შემთხვევაში შეფასდა მასწავლებლების მიერ, ხოლო უნივერსისტეტის სტუდენტებს მოეთხოვებოდათსაშუალო სკოლის დამთავრებისას მიღებული ნიშნების ფურცლის წარდგენა. კვლევის შედეგად მივიღეთ სუსტი, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია აკადემიურ მოსწრებასა და ემოციური ინტელექტის რამდენიმე ასპექტებს შორის, კერძოდ,ასერტულობის, თვითმოტივირების და სოციალურუნარებთან. ხოლო კორელაცია აკადემიურ მოსწრებასადა ემოციური ინტელექტის ჯამურ მაჩვენებელთან არ გამოვლინდა.

საძიებო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, აკადემიური მოსწრება, თბილისი სკოლები.